ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2025 წლის 22 ოქტომბერი

დაბა ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართვლობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ მე-13 მუხლის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა დანართების შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა №4.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა**